


თეატრი სსსრს

სთეატრო სალიხარ. ჟურნალი

№ 29 — 1917 წლის
 კვირა მაკათვის 16 თარიღი
 მთლიანი მთლიანი
 ზამთრის



საქართველო

გმირთა გმირნი!
 რაღა გძინავთ?
 სამშობლოს მტერს
 რად არ გმირავთ?
 ძმანო გმირნი!
 ხომ არ გძინავთ?
 თუ არ გძინავთ,
 რად არ სწირავთ
 თქვენს სიცოცხლეს
 სასახელოს
 გმირთ-სამშობლო
 საქართველოს?!

კაკი წერეთელი
 შინაგან საქმეთა მინისტრად მი-
 წვეული, იგივე ფოსტატელეგრა-
 ფის მინისტრი.

დავით კობახიძე.

დავით გივიშვილი
 სახალხო მგოსანი, გარდაცვალები-
 დან ერთი წლის შესრულებისგამ

ომი და ზავი

ჯერ ომიც რომ არ იყოს, რევოლუციის გამარჯვება ისეთ დიდ და მრავალ ეროვნ კვეყანაში, როგორც რუსეთია, მეტად ძნელია. ასეთი უმაგალითო ომი ამ სიძნელეს კიდევ უფრო ართულებს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჯარი მოქანცა, რომ ჯარი არ თანაუგრძნობს ომს და არცა სწამს მას მეტი გამარჯვება, ცხადი იქნება ჩვენთვის, რომ ჯარის სულიერ განწყობილებას დროებითა მთავრობამ ჯეროვანი ანგარიში არ გაუწია, დიდს სიფრთხილით არ ასწონ-დასწონა.

რევოლუციის პირველ დღებშივე გამოაშკარავდა ჯარის სულიერი მდგომარეობა.

იმის მაგივრათ, რომ კერესკი ამ გარემოების საკმაოთ ჩავეირებოდა, ის ფრაზებით ცდილობდა ლელოს გატანას და აღარ ვახსენდა, რომ შეიარაღებულ ხალხზე ყოველი ფრაზა არ ახდენს შესაფერ გავლენას.

ვინ ამბობს, რომ შე-ძლებოდა მისე მოვატრილობით მთელი რუსეთის ჯარი, რომ მან მთელი ასპარეზით მედგრაით და თავგანწირულით შეუტოს მტერს, ამას რა ჯობია.

მაგრამ ეს ყოველად შესუძლებელია. ეს გამოაშკარავდა რევოლუციის პირველ დღებშივე.

ამიტომ ნაძალადევი შეტევა, რომელიც კერესკიმ თავს მოახვია ჯარის სულ მცირე ნაწილს, დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს.

რევოლუციის პირველი დღიდანვე დროებით მთავრობას უნდა სცოდნოდა, რომ ომის გავრძელება რევოლუციისათვის საშიში იქნება.

მას უნდა კარგათ სცოდნოდა აგრეთვე, რომ რუსეთი ზავს ამით ვერ მოიპოვებდა.

მაშასადამე უნდა გამოეჩხა რაიმე ღონე, რომ ზავი როგორმე მოეხსლოებინა.

დროებითა მთავრობამ შეტევა ამჯობინა, კერესკის ეგონა, რომ მისი ფრაზებით მთელ ჯარს სრულებით გარდაქმნიდა და გადადგა ის ნაბიჯი, რომელიც ბევრ უბედურებას უქადის რუსეთსა და რევოლუციას.

ჩვენ უყვევით, რომ გერმანელებმა რუს-ს ჯარის ასპარეზი ძალიან დიდზე გაარღვიეს. თუმცა რუსის ჯარი რიცხვითაც და შეიარაღებითაც სკარბობს გერმანელებისას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯარი სწრაფათ იხვეს უკან და მტერს გზას უხ.ნის.

თუ ასეთი შემოტევა გერმანელებისა და

სწრაფი უკან დახვევა რუსის ჯარისა გავრძელდა, რევოლუციის დიდი განსაცდელი მოეღის.

გერმანიისთან ომმა მოგვანიჭა სრული თავისუფლება. შესაძლებელია, ამ ომის გავრძელებამ შეაქრას ფრთები ჩვენს ნორჩ თავისუფლებას.

რაც უფრო ძლიერამოსილი იქნება გერმანიის ჯარის მსვლელობა რუსეთის შუაგულისაკ, მით უფრო გაძლიერდება ანარქია, მით უფრო აიწუნე—დაიწყებება სასურათო საქმე; მთავრების გავლენა დაცემა, ფინანსების მდგომარეობა მთლათ გაუფარესდება, ძველი წყობილების დამცველნი, მონარქიის მომხრენი და დემოკრატიულ რესპუბლიკის მტრები—ჰყელი შეგრძელებიან და იერიშს მიიტანენ რევოლუციისზე.

რევოლუცია განსაცდელშია.

კონტრ-რევოლუციის შეუძლიან გამარჯვოს მხოლოდ ვიღველმის დახმარებით.

თუ გავითვალისწინებთ რუსის ჯარის დღევანდელ მდგომარეობას, უთუოთ დავინახავთ იმ მწარე ქეშმარიტებას, რომ რევოლუციის გამარჯვება და კონტრ-რევოლუციის დამარცხება ახალ მთავრობას შეუძლია მხოლოდ ზავით და არა შეტევით ან მოგერებითი ომის წარმოებით, რადგანაც მოგერებითი ომი ბევრჯერ ითხოვეს შეტევას.

თუ რევოლუციის და რუსეთის ხსნა უნდა ახალ მთავრობას, უმთავრესი ყურადღება მან უნდა მიაქციოს ზავს.

ინგლისისათვის ომის გაგძელება ჯერ კიდევ ხელსაყრელია, ამერიკა თანახმაა, რომ ომი თუნდა სამ წელიწადს კიდევ გაგრძელდეს.

ამერიკა ახლა გამოუვა და ბრძოლის ველზე და, რაც უფრო გაგრძელდება ომი, მით უფრო გაიტენიან ჯიბეს ამერიკელი კაპიტალისტები.

სლონანგეთი ყოყმანობს, მაგრამ მაინც უნდა მას ზავი. გერმანიაც ყოყმანობს, მაგრამ, მაინც ზავს ეძებს.

ავსტრიას ზავი სწყურია. რუსეთისათვის ზავის ღაგვიანება ყოველ დღე დამლუგებელია,

ამგვარ პირობებში ზავის ჩამოგდება შესაძლებელია და ეს უნდა მოახხერბოს სოციალისტურმა საპინისტრომ.

თუ ეს არ შეუძლია, რუსეთისა და რევოლუციის შესაქეობაც არ უნდა ეკოსრა.

ივ. გომართელი.



ჩვენი თეატრი უპატრონო ტაძარი

უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო!

მართალია, ჩვენი ხელოვნების ტაძრის ყველა ჯუღის მუპატრონენი ეშმაკები არ არიან, მაგრამ მათში რომ ბევრი ავსული—ეს ცხადია.

მერე ვისი ბრალია, რომ ასეთ წმინდა საქმეს, როგორც სათეატრო ხელოვნება, უწინდური ეპატრონებიან?

რალა თქმა უნდა, იმათი, რომელნიც მოვალენი არიან ამ საქმეს ნამდვილად მპირუნველობდენ და კი ვერ მპირუნველობენ...

ხალხს სწყურია სულის საზრდო, გონებრივ-ზნობრივი გასართობი სარკე.

და როდესაც ამ სარკეში ნამდვილი ოსტატი არ ახედებს, სულ სხვა, შემთხვევით კაცი ჩნდება მესაკრძად.

ერთის მხრით მადლობაც-კი გვეთქვის ზოგიერთ იმ სცენის ხელმძღვანელთადმი, რომელნიც თუმცა სასცენოდ არ არიან მოწოდებულნი, მაინც, შეძლებიან დავგარად, დამა სოფლებში თეატრს მიუძღვებიან.

განსაკუთრებით უნდა უმაღლიდეთ მობარდ თაობას

ვიციოთ მათ, „ხელოვნებას“ ბევრი ნაკლი ექნება, მაგრამ სასცენო ხელოვნების პირველნი მერცხალნი სოფელში მაინც ისინი არიან?

ხოლო იგინი სოფლის ხალხს სავსებით ვერ დააკმაყოფილებენ.

ერთად ერთი გზა ისაა, რომ ჩვენი სათეატრო საქმის მეთაურებმა ბევრითად მოპკიდონ ხელი სოფლის სასცენო საქმეს, გაართონ მოძრავი თეატრი (შეიძლება ლექციისებური შესავალებით), ჩამოიარონ საქართველოს ყოველი კუთხე, მოაწყონ ადგილობრივი კავშირ-საზოგადოებანი, სათავეში ჩაუყენონ სანდო და მცოდნე კაცები, შეუღდგინონ სპეცებო რეპერტუარი, ხელმძღვანელობა გაუწიონ წრეს და სხ.

და ყოველივე ეს უნდა შესრულდეს საქმით, მრატეაგუადა, მისჯავა-მისჯავით და არა განცხადება—მოწოდებით, ანუ დეკლარაციით.

ჩვენმა მსახიობებმა ნუ თუ მუდამ მხოლოდ ერთი ადგილი უნდა სტკეპონ, მუდამ გაკაფულ გზაზე იარონ და ახალი ვერაფერი შექმნან?

ან იქნება ჩვენი სცენის ლეთიურ ცეცხლი ჩანელა?

არა, ეს დაუჯერებელია.

მართალია, ჩვენი სასცენო ხელოვნების კერას ნაცარი მიეყარა, მაგრამ შიგნითან სითბო მაინც გამოსცემს: საჭიროა ნაცარი გადწიოს და ნაკერჩხლები გაჩაღდება!

მიზანშეწონილი, მტკიცეთ დაგეგმილი გამუდმებული მუშობა და—საქმეც აყვავდება. უბრალო რეკლამა, ჰაი-ჰუ, საზეიმო გამომეტყველება, მყვირალა სიტყვებით მოყვლეყლება არას გვიშველის.

ტაძარი ჩვენის ხელოვნებისა—ჩვენი თეატრი უპატრონოა და ქეშპარტ მაცხოვარს ელისრომ საკურთხველიდან დაირკოს ანკარი „მოციქულნი“, ხოლო საღვდელმსახუროდ აღიჩინოს ქეშპარტი ქურუმნი..

იოსებ იმედია შვილი.

მებრძოლი ქალი

პოემა

I

ძლიერ სარდალსა წინ დასდგომა ქალი, თამამად თავ აღებულო, და ეუბნება შემდეგ სიტყვებსა, ფერ-მიმკრთალი და აღღვებული:

— „გზოვთ, გვედარებით, გემუდარებით მიმიღეთ ომში, მომცეთ ხმალი. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ვაყის ნაკლებ აროდეს გასკრის მამაცი ქალი.

მამა დამიპრეს, ძმაც ეხლა გაჰყავთ, სატრფო-კი იბრძვის ბრძალისა ველზე. მეც მინდა დავრჩე ჩემიანებში, და თქვენც ბორკილებს ნუ დამდებთ ხელზე.



თქვენც კარგად იცით, იმ მკაცრ ბრძოლაში უარიცხვი ვფიქრობდი დიხობებდა, ნუ გენანებათ, თუ იმათგანში ერთი ზედმეტი ქალი მოკვდება.

როს ყველა იქმყავს, სახლში ვით გავსლებ ჯავრით და ფიქრით განაწვალლები, როს ხსნა სურია ჩვენსა სამშობლოს? და მეც სამშობლოს ვენაცვალლები.

ახედ-დახედა სარდალმა ქალსა აუღელვარდა ცივად თვალები: — მე არ მსურს ახლოს იმყოფებოდეს ძუძუთა ბავშვი, სუსტი ქალები.

იქ ნუ გგონია კარგი სურათი, სისხლით მორწყულა მინდორ-ველები, რაზედ იფიქრე? მძიმე თოფს ზიდავს ეგ უსუსური, სუსტი ხელები?!

ელხანდელ დროში ბრძოლა და შრომა კარგი საქმეა, ღამაში, წმინდა; დაჭრილები გვყავს, მომვლელს თხოულობს, მოწყალეების დაღ დაჩრჩი თუ გინდა.

— მოწყალეების დათ? ოჰ, არა, არა, რაც რომ არიან— ისინიც კარა. მე ველი მინდა თვალ-უწვდენელი დილის რიერე, ცისა კამარა.

ერთი მიბძანეთ რა გენაღვლებათ, პეტრეს მაგივრად მქვიოდეს ნარო?! როდესაც მოძმეს ტყვია გაგმირავს, მსურს ახლოს ვიყო, მსურს დავებმარო.

ნუ იღუშებით. საოწყალეოდ არ ვადმოზხედავს ნუ თუ ეგ თვალი?! ნუ მტანჯავთ მიტომ, რომ შემომემდმა ჩემს უნებურად გამხდა ქალი.“

უსმენს სარდალი ცივად გულ-გრილად- ამბობს: შენ „შეგფერს ჩემი შვალობა, რომ შეგისრულო შენი სურვილი, ეს არ იქნება გულკეთილობა.“

— „მეშ უარს ამბობთ? აწ კი მშვიდლიათ, სულ არ გქონათ კეთილი გული, ეჰ, ვინ მიხვდება, თუ რას ჩაიდნეს ამ ქვეყნათ ქალი თავ-განწირული.“

სთქვა და განშორდა სწრაფლად იმ წარბ-დაშვებული, შალზე გამწყრალი. და სარდალსა კი მწარე დაცნვით აუთამაშათა ტური და თვალი...

...გავიდა ხანი... აწარმოებდა უმაგალითო ბრძოლათა წყებას... ქალის თხოვნა და ქალის ვედრება მან უკვე მისცა სრულ დაწვივებას...
II

დილის ცვარი ვარდ-ყვავილებს ტყისა ახლოს პირსა ჰბანდა, შვლისა ნუკრმაც ყური სცქვითა, საბაღახოთ წამოვარდა.

ცისა სივრცემ გადაიღო ღამის თალხი ქუფრი ფარდა, ზღვის ფსკერიდან მზისა ბურთიც ამოიჭრა, ამოვარდა.

სხივ-ისარი მოიბარჯვა, მთისა წვერებს შემოსტყორცნა; თეთრი თემები დაუშალა და ჰაღარა დაუკოცნა.

ულრან კლდის ძირს ნაპარლებში ცივი წყარო ღამარაკობს, ცვარს აპკურებს ბუჩქის ძირებს, მთელ მიდამოს ართობს, ამკობს.

დღეს კი რაღაც სულ სხვა გვარად სიღულმლოთ აღუკლუკდა, უცხო, უცხო ზღაპრებს მოყვა, გაავარონს ყველას უნდა.

ამ დროს იქვე ტყის აღქაჯმა უცაბედად გაიბრინა, წყაროს ჩურჩულს ყური მოჰკრა, გაიღიმა, გაიცინა.

შორს გაიქცა . მიხანარა ამხანაგებს წყაროს თქმული, ცეკვა-ხტუნვით გამოხატეს თავიანთი სიხარული.

გიჟ ქორხის ანცი ტალდა მომდინარებს, მოჰქრის მარდალ. ველ-მიდამოს დაჰფუნია, უზარ-მაზარ ვერცხლის ვარდალ.



მოჭკრის რაღაც გვაფერებით,
 ტალღა ტალღას შეახალა,
 დაუღუველ გზით მსვლელობით
 არ შესდგა, არ დაიღალა.

ვერ აფერხებს ფიფქი თოვლი,
 სეტყვა, მები, წვიმა ქარი.
 ზღვასთან მიდის, სურს წაუღოს,
 რამე კარგი საჩუქარი.

მიტომ ხშირად გზისა პირად
 თვალ-მარგალიტს კრეფას ეძებს,
 რა რომ მივა ზღვას ვადასცემს
 ძვირფას ქვებს და ლამაზ თევზებს.

მდინარის პირს ვით ქალწული
 ახალგაზდა ტყე აღზარდილა,
 თავს დაჰყურებს, დაჰქათეთებს,
 შემოდგომის ნახი დილა.

აქ მცენარე ყოველივე
 ხარობს, სტკებება, ილიმება,
 თუმცა კაცთა ბოროტ საქმით
 თვით ბუნებაც იჩრდილება...

საფო მგელაძე

გაგრძელება ჩვენება)

ამირანი

(სიმბოლოური ცოტახალი სურათი—მოთოეზი

საქართველოზე)

იდეა ს. კრთაწმინჯელიძისა *)

სურათი პირველი

ღრუბლებში აპრილ კავკასიონის მთებში, მა-
 ლალ ქედზე მიჯაჭული, თმა-წვერ ქალარა მხარ-მებანი,
 გოლიათი ამირანი მყრდ-დასისხლიანებული. ბინდ-
 უნდია. მთებს მარჯვენ მ, დაბლა მოსახსნ ბნ.ლით
 მოცული საქართველო წინ განუქროველი ცეცხლი
 ანთია. პატარა ყუზუშ-ფინია სეტყვია იქვე და ჯა-
 ჭესა ლოკავს. მოშორებით გღია გვერთულა ხმალი,
 რომელსაც ვერ მიუწვდება. ორბი დაჰფრენია მყერ-
 დზე და ჰკორტნის. შორს სიბნელეში მოსახსნ დაბლა
 თმებ-გ წყნელი დათალხული ქართლის დედა. კული-
 სებში ისმია მწუხარე ზუზუნი და მოთქმა ლექსად:

*) ეს სიმბოლოური სურათი ავტორმა განმან-
 პუნქტში, ხოლო შალვა დადიანმა. ქართველთა სამ-
 ხედრო კავშირის საღ-მოზე დადგეს ორიგენალ დამსწრეთ
 ძლიერ მიუწვანათ.

რედ.

კავკასიონის თვალ-უწევდნ ქედზე,
 საღ მოლოდ ორბნი თუ ასწვდებიან—
 მიჯაჭულია გმირი ამირანი,
 ორბთა გუნდები მყერდს უკორტნიან.
 სისხლი სდის რაინდ საქართველოსა,
 ტყვე შემორკლი სისხლით იცლება;
 თმებ გაწეწილი ქართლისა დედა,
 სტირის და ნატვრით თავსა ევლებია!

ფარდა

სურათი მეორე

იგივე სურათი; განათალია: მთებს იქით მზე
 ამოდის. ამირანს მარჯვენა ხელი აწყვეტილი აქვს და
 ხმლისაკენ აქვს გაწვდლი ასაღებად, რომ
 შეუტოოს ორბს, რომელიც იქვე დასტრიალებს თავზე
 და რომელსაც ამირანი უბღვერის გაბრახებული. ქრ-
 თლის დედა იყურება საქართველოსკენ და ხელით
 ანიშნებს ამირანისაკენ. ამ დროს კულისებში ისმის
 გამამხნეველები ხმა, სიმღერა:

აღსდექ გმირთ-გმირო მძინარე!

სიკოცხლეს ციტხოიდ დინარე.

გაშალე დროშა ძღვესა,

ხმა მოე ბორკიით: ჩტერეცსა.

თორემ დაგჩაგრა მტერ-ორბმა,

ბრჰყალო-სისხლი ნმა ლეშთ მტრ-ფობმა;

ამირან-ქართლო! ბედშაო,

ჯაქვს გილოქს შენი ყურშაო!

ფარდა

სურათი მესამე

იგივე სურათი. მზე უხვად ჰქნის თვის ნათელს
 საქართველოს. ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვან არე-
 მარეს. ამირანი თავისუფალია. დამხრეველი ბორკალ-
 ჯაჭვი იქვე ყრია. ხალა მარჯვენა ხელში უჭირავს.
 მარცხენაში თავისუფლების წითელი დროშა და მკლავ-
 ზე უხის ფინია, მუღმივი მგობარი, ხალხური ზღაპ-
 რით; ამირანი დიმილთ იყურება და ცალი ფეხი
 უდგია ორბზე, რომლიც მკვდარი გღია ძირ, გაბას-
 რული. ქართლი დედა მის გვერდით დაჩოქილია და
 მწუნე რტოთი ხელში შეხარის. გარშემო, დაბლა
 სხე და სხვა ყალბად დგანან შეილნი საქართველოსან-
 ნი სხვა და სხვა მხრის და ისტორიულ-ეოცენულ ტა-
 ნისამოსში გამოწყობილნი. და შეხარაინ თავისუფლე-
 ბას კულისებში ისმის გამარჯვების სიღერა.

ჰხარობდენ ჩვენო ქვეყნ-ნავ მზე-საქარ-ველო,
 ჰყავიოდენ ტურფა მამულთა გმირ შვილთ მზრდე-

ლო.

კვალადა ბრწყინავს სამშობლოვ, შენი მშვენი

მზე,

იწვევს მსოფლიოს, ლამაზო, მეგლის-ნადიმზე.

იკოცხლენ თავისუფალი,--გიმღერთ მშვენიერს,

ჰხარდე კვლავ გმირნი ქართველნი—მრავალ

ქამიერს!

ფარდა



როგორ ემსახურებოდენ სოფელს მოხელენი?

(შარუი)

ჩენი სოფლის მოხელენი ჯიბის გარდა რომ სოფელსაც ემსახურებოდენ,“ ნათლად აშტაკივს მათ მიერ შედგენილი პროგრამა სალიტერატურო-საქვეფო საღამოსი, რომელიც უნდა გამართულიყო აპრილის მიწურულში გორის მაზრის ერთ ერთ სოფელში, მაგრამ ცახე ღრუბლების არევის გამო ეზლა ცხენში სამგლოვიარო საღამოებსა მართამენ როდესაც ძველი მთავრობა დაემბო და სოფელად დროებით აღმასრულებელი კომიტეტი ამოვირჩიეთ და შეუდგით სოფლის სამართელოში (ეგრედ წოდებულ „ქანცე-ლარიში“, მათ მიერ დაწესებულ საქმეების განხილვის, საქმეებთან ერთად ქალაქებში აღმოვიანეთ პროგრამა. აი ამ პროგრამის შინაარსი:

გორის მაზრის სოფელ №-ში აპრილის მიწურულში გამართება დიდი სალიტერატურო-საქვეფო საღამო ოთხ განყოფილებად:

1 განყ: ადგილობრივი მამსახლისი მახარე ქრთამამე წიკა-თხავს ლექციას შემდეგ თემებზე:

ღვინო და არაყი, თუ რამდენათ სასარგებლოა კაცისთვის. იქვე გამოცლის ერთ ჩარქვა არაყს, დასიიებს ძარღვეს და მიმართავს საზოგადოებას: აჰა, ხედავთ ჩემს მკლავებს, თუნდა მთელ სოფელს შეგებრძოლებითო.

2 განყ ადგილობრივი ბოქაული და მწერალი გაჯიბრდებიან ღვინის სპაში. ჯილდოთ დანიშნულია მაგდანას ღვინო.

3 განყ. ამ სოფლის საზოგადოების ექვსი ნაცვალი, ეგრედ წოდებული „პოპო-ნიკები“ იმღერებენ შექრთამის სიმღერას:

(მიბამე)

ქრთამის ჭირიმე, ქრთამისა, ის მალამოა გულისა. ის არის სოფლის მოხელის გამთელებელი წყლულისა.

ქრთამით დაედებით მოხელედ, ქრთამს ვიღებთ საჩივარზედა. ვინ იცის ეგებ დავბოკონ, ქრთამისვე აღებაზედა.

მაგრამ ჩვენ შინც დავიცათ, ქრთამის აღების წესია.

ანვინ რას როგორ გაბედავს, რადგან ძველთაგან ესია.

4 განყ. ადგილობრივი მესურნები დაუქარავენ „ჯიგა ჯიგის“

ბოქაული, მამსახლისი, მწერალი, ნაცვლები, გზურები, ჩაფრები, იასაულები, პოვერნიეი, სანიტრები და სხვა მრავალი სოფლის მოხელეები გაიღიბიან საერთო ნაღმის დანახარჯი სოფელს მიეწირება.

ანათყოფი.

ყველანი ძალზედ გამოზრუელები.. ჩაფრები ბოქაულის ბრძანებით მაყურებელ საზოგადოებას მთარახებთ აცილებენ შესდგო-ბაში, რამდენიმე ხნის შემდეგ მიღის ძღვენი ძღვენზე: ცაცყი დედლები და სველ-სველი საღვინოებით ღვინო, რაი-ა სკენაზედ მოლლილებმა ივანეშვიან.

გამეცობა სოფელის მოხელეთ საზოგადოება.

ბილეთების ფსი არ იყო გამოცხადებული, რადგან სამი თვით აღდრე შესდგომოდნენ საქმეს და შეიძლება პროგრამის შეკეთება სურდათ.

აი როგორ უმსახურიათ სოფლისთვის სოფლის მოხელეებს. **ზ. ზემო-ხანდაკელი.**

ჩემი ნატვრა

1

ნეტავი ვიყო ცეცხლი უშრეტრ, წყალს მსხამდნენ და არ ვნუღებოდდე, და ხალხის ჯალათ-დამჩაკერელებსა დასაწვავთა ვარს ვეღებოდდე.

2

ნეტავი ერთი იმ დღეს მოვესწრო, რომ სიმტყუნესა სიმართლე სძლევედს, და მართალს საქმეს ჩენი მსაჯული მიუღდგომელად ასამართლებდეს.

3

ნეტავი მქონდეს ისეთი გული უშიშრად ყველგან ვლამარაკობდე: ბოროტ საქმეებს სახალხოდ ვგზობდე. კეთილ საქმესა ქებით ვამკობდე.

4

ნეტავი ვიყო: უტყვი, უნრო ვიდრე მტყველი არას ვამბობდე, ან და არ ვიყო ვოდრე, ვიყო და უსარგებლოდა დავყიადობდე.

5

მე შევირად მიჯობს ენასა ვინმე ამოპირიდეს—შორს გადაადებდეს, ვიდრე მართლისთვის ძალ მოპრეობთ პირში ლაგამსა ამომიდებდეს..

ვარდენ ყიფიანი (ღვანკეთელი.)



ბრაუნ. თავი დავანებოთ! რისთვის? შენ უკვე შხათა ხარ ანთო, აპილილდე.. ტყუილ-ლა ტულ გუნებაზე გახდები და მეტარაფერი.

იოჰან. აშკარათ თქვი, ჩემო მეგობარო! გთხოვ ნათლად სთქვა...

ბრაუნ. ეჰ, სისულელეა. რისთვის უნდა ვიბასოთ.. დღე.. ყველა თვითონ მიხედეს, რა უნდა გააკეთოს, ან როგორ მოიქცეს..

იოჰან. რა, განა მე ისე ტულათ ვიქცევი? **ბრაუნ.** სხვებზე ურიგოთ არა.. შენც ისეთივე კომპრომისერების მოტრფილდე ხარ..

იოჰან. უკაცრავოთ ნუ ვიქნები, თუ მაგ შენშენზე ვასუსხ არ მაგკემ. სწორე გითხრა მომბერდა (აღუფრებულად დგება). საქმე ისაა.. თქვენი, ჩემო მეგობრებო, ყურები გამოიშველეთ რადიკალური ფრახებით, მე კი ერთზე და სამუდამოთ გამოგცხადეთ, რომ ამ აზრსა და შეხედულობაში თქვენი ამხანაგი არა ვარ! აი ამიტომ ამოგყავი თავი კომპრომისების თავყანის მცემლებში.

ბრაუნ. დიას, შენ შენ, მაგრე ამბობ, მაგრამ საქმე კი სხვანაირათაა: როდესაც ჩვენ მივიტოვდით ჩვენი იდელების ლოლიკურ დაქვანაშის მიყვანას, შენ მუდამ გგეკამათებოდი და იცადედი ყველა ძველსა და დრო გაღასულს... აი ამით შემოიფანტე უველა მეგობრები და შენ კი შერთო დარჩი.

ფრ. კეტ. (დამშვიდებთ) იოჰანეს!

იოჰან. მეგობრები .. რომლებიც მე შემძლო შემომეფანტა, ხელი მეკრა... იმისთანა მეგობრები.. სწორე გითხრა, ვაფურთხებ...

ბრაუნ. (დგება) იმათ აფურთხებ? (ანანს შეჭურვებს) რა დროიდან... იოჰანეს?

ფრ. კეტ. (მცირე ხანს სიწყობის შემდეგ) ბატონო ბრაუნ. თქვენ კიდევ მისლიხართ?

ბრან. (განაწყენებულად გულ გრადად) დიას, საქმე მაქვს.

იოჰან. (ტკბილათ) ნუ სულელობ... **ბრაუნ.** არა ღმერთმანი... **იოჰან.** როგორც გნებავს.

ბრაუნ. მშვიდობით! (გადის სიწყობა) **ფრ. ფოკერ.** (ჭურჭელს აჯაგებს მართლა, ერთი. ეს მითხაროთ, გეთაყვა, რათ მოგწონთ ბრაუნე ვერე ძალიან? სწორე გითხრათ, მე ის გადაკარბებით არა დროს არ მომწონდა.

იოჰან. (გაჭაგრებულად) დედი, ერთ რამეს გთხოვ...

ფრ. კეტ. მაგრამ, ჰანს, ბრაუნი შენთან საკმაოდ მტყუანია.

იოჰან. გეთაყვათ, ჩემ საკუთარს საქმეებში ნუ ერეეით (ისევ სიწყობა ფრ. ფოკერატი სტოლს აჯაგებს. ფრ. კეტე დგება).

იოჰან. (პეტეს) საით?

ფრ. კეტ. ბავშვი უნდა გავაბანო. (თავს უშენებს ფრ. ანანს. ძაღვტანებით იღიმება, შემდეგ ბადის საწოლ ოთახში. ფრ. ფოკერატი ზოგი ერთა ჭურჭელის ტატანას ახიარებს ფედნოსით. შემოსავალი კარები გაიღება და გამოწნდება მოგატრე ქაღის თავი, რამეღიდ იახასა შემეჭრანდე!) **ფრ. ფოკ.** (უხასუებს) მოვალ, მოვალ! (გადის. სიწყობა).

ფრ. ანანა. (სათს ამოიღებს) ეხლა რომელი საათია? (კვითხება ოცქანეს, რამეღიდ მოჭრუშულად ზას) აბა ბატ. ექიმო, თქვენი საათი სწორე? (დაიღინებს და თან ეშმაკური დომიღით გაღაჭურვებს ოცქანეს. პოფოს ორგანი იღინის).

იოჰან. (გულახანთ ოცქანეს) ეხ, ფრეილინ ანანა; სამწუხაროთ, ყველა ეს სრულებით სახუმარო არაა.

ფრ. ანანა. (თათს უქნავს. დომიღით გუჭრება) თქვენ მე მიფრთხილდით! სიცილი არ იყოს!

იოჰან. (იღინის, შემდეგ სერაიზულათ) გარწმუნებთ, რომ თქვენ სრულებით არ გესმით ამისთანა ქცევაში ბრაუნი რას გული-ხმობს ხოლმე

ფრ. ანანა. თქვენ ჯერ არ გაგიგიათ ფორტოპიანზე როგორ ვუკრავ?

იოჰან. არა, ფრეილინ, მე მეგონა, რომ თქვენ სრულებით არ იცოდით ფორტოპიანზე დაკვრა.

ფრ. ანანა. რასაკვირველია არა! მე ისე ხუმრობითა ვთქვი! აბა, მიგდივართ ნავით სისეირნოთ?

იოჰან. სწორე გითხრათ, ყველაფრის ხალისი დამეკარგა.

ფრ. ანანა. (მეგობრულათ თათს უქნავს) ექიმო, ექიმო, ერთ საათში ასე სულით დაცმა როგორ შეიძლება?

იოჰან. მე არ მესმის, იმისთანა კაცი, როგორც ბრაუნია:..

ფრ. ანნა. ისევ ბრაუნია!.. ნუ თუ იმის-მა სიტყვებმა ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე?

იოჰან. ფრეილინ, ეს ძველი ისტორიაა, მაგრამ როდესაც მომაგონდება ხოლმე, მაშინ..

ფრ. ანნა. იმ ძველ ისტორიებს თავი დაანებე: ვინც უკან იყურება, ის წინ არ მიდის.

იოჰან. თქვენ მართალი ხართ.. ამას თავი დავანებო... აქ საინტერესო მხოლოდ ის არის—კაცმა გაათვალისწინოს, თუ ჰქვიანი კაცები წლითი წლობით როგორა სცივდებ-ბიან ერთსა და იმავე შეტდომაში.. ის ხომ სრულიად გულწრფელადა სთვლის უსარგებ-ლოდ ჩემ ფილოსოფიურ შრომას.. შეგი-ძლიანთ ეს წარმოიდგინოთ?..

ფრ. ანნა. დიახ, არის მაგისთანა ხალხი.

იოჰან. ისინი კაცისაგან თხოულობენ მომქმედ შრომას. მათის აზრით საქირთა ყვირილი, ხმაურობა და რადიკალური ფრა-ზეზის ხარჯვა.. არ შეიძლება ეკლესიაში ჯვი-რის დაწერა თუნდაც რომ პატარბალი სულ სხვა აზრისა და შეხედულების იყოს ამ სავ-ნის შესახებ. საზოგადოთ, არაფერს არ უნდა მიაქცია ყურადღება; უნდა დასწოო პირდა-პირ, გიქუთრი. მაგრამ თუ ხელს მოკიდებ, როგორც მე, რომელსამე სამეცნიერო შრო-მას და შეიკეტები ოთხ კედელ—შუა, ეს კო საკუთარი იდეის დალატს უდრის! უწინაურია განა?

ფრ. ანნა. ოჰ, ექ-მო, ნუ აძლევთ მა-გოდენა მნიშვნელობას იმას, რასაც თქვენზე ლაპარაკობენ თქვენი მეგობრები. თქვენი შე-ხედულება და საქმიანობა თუ თქვენ გამა-ყოფილებთ, იმას ნულარ აქცევთ ყურადღე-ბას, რომ სხვები არ გააძინებენ და ყველა-ნი თქვენი აზრისანი არ არიან... ამ გვარი შეტაცება კი ადამიანს ტყუილა-უბრალოდ ჯან-ღონესაც აკლებს და დროსაც აკარგვინებს.

იოჰან. არა, არა, რასაკვირველია რომ არაჲ ცოცხალი მთავს არ ვიზამ, რომ იმათმა შეხედულებამ ჩემზე იმოქმედოს... იმათ თუ რამე არ მოსწონთ—ეგ ჩემი ბრალი არ არის, მაგრამ გულ-გრილათ ყურება მაინც შემე-

ღება: მე მაგ ხალხში გავიზარდე და მიგნეობ, რომ რამდენადმე მათსებდნენ... და ერთბა-შად ეს დაფასება მოკლდება, ხელდღან მეც-ლება... ასე მაგონია ჰაერი მაკლდება მეთქი.

ფრ. ანნა. თქვენ ოჯახი გაქვთ ექიმო.

იოჰან. ოჯახი.. დიახ.. რასაკვირველია.. ესე იგი... არა ფრეილინი! მოისმინეთ ჩემი პასუხი. აქადას მე არავისთან კრინტი არ დაიძრავს ამის შესახებ. თქვენ უკვე იცით, რომ მე იმდენადა ვარ დაახლოვებუ-ლი ჩემ ოჯახთან, რამდენადაც შეგვეუსლი. მაგრამ რაც შეეხება ჩემ შრომას, სახლობას სრულებით არ შეუძლიან მხარი დამიჭიროს. კეტეს ცოტა კეთილი ხასიათი მაინცა აქვს... საუცხოვოა დემრთმანი.. ყველა და ყველა-ფერი კარგი ჰგონია, მაგრამ მე ხომ მშვენიე-რათ ვიცი, რომ იმას არ შეუძლიან საკუთა-რი მსჯელობა იქონიოს ამა თუ იმ საგნის შესახებ. ამა ამისთანა ადამიანი რაში მაგია? ამიტომაც ჩემი თავი სწორედ ზეცაში მაგონია მას შემდეგ, რაც თქვენ ჩვენსა დაბინავდით! ჩემ სიცოცხლეში პირველად ვხედავ იმისთანა ადამიანს, რომელსაც გულწრფელად ვინტე-რებსება ჩემი ნაშრომი, ვინტერესება ის, რის გაკეთებაც ძალიძის. ეს გარემოება კი მტრად მამჩნევებს და მახალისებს... თქვენი აქ მობ-რძანება ჩემთვის სწორედ გახიროკებულ უღანოში წვიმის მოსვლასა ჰგავს.. ხომ!..

ანნა ფრ. ექიმო, თქვენ თითქმის პო-ეტური ნიჟიკ გქონიათ..

იოჰან. მაქვს საბუთი, რომ პოეტურად-მაფრენას მივყავი.. თქვენსა სცდებით.. დე-და ჩემს ჩემი ხელთნაწერები სწორედ ეწი-ზლება. ამიტომ დიდის სიამოვნებით სულ ერ-თთან ბუხარაში შეუძახებდი რა შეიძლებო-დეს. ჩემი კეთილი მამა ხომ ამ ხელთნაწერე-ბისადმი საღმრთოა შიშსა ჰგრძნობს. აქედან ცხ-დაა, რომ ოჯახისაგან მხოლოდ წინა-აღმდეგობას უნდა მოველოდე ჩემი შრომის მიმართ.. მაგრამ აქ გასაკვიროა არა არისრა.. მარტო მეგობრები და დამარჩენ, მაგრამ ისი-ნიც იოტოს ოდენა პატივისცემას არ იჩენენ ჩემი შრომისადმი.. ამისთანა კაცი, როგო-რიც ბრაუნია..

ფრ. ანნა. მე ის მიკვირს, რომ სწორედ ბრაუნ გაყენებთ მაგოდენა მსუხარებას.



იოშა. ღიახ, ბრალუნი... ე ი. ჩვენ ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს.

ფრ. ანნა. უკაცრობო, ბავშვობიდან იცნობთ?

იოშა. დიხ, და ისიც მიცნობს.

ფრ. ანნა. ის.. თქვენ? მართლა?

იოშა. ღიახ, რაოდენიმედ..

ფრ. ანნა. თქვენ სრულებით არ ჰგავხართ ერთმანეთს.

იოშა. თქვენ ასე გონიათ?

ფრ. ანნა. (მტკიცე ხანის სიჩქარის შემდეგ)

ბატა ბრალუნ ბევრ რამეში ჯერმდენდა უვიცოა, დაუშწიფებელია, იმდენად... მე არ ვიზომბ, რომ იმას შურადეს, მაგრამ ის აჯაფრებს.. თქვენი ინდივიდუალური თავისებოთა თავგამოდებული დაცვა იმას არ ებიტყვება, არ შეესაბამება იმის სულიერ მოთხოვნილებას.. ეს თავის პირადობის დაცვა ის რაღაც ძრწოლას ჰგვრის.. იმას რაღაც, აქვს ატრები: ცნობილი სოციალ.ეკონომია ური იღებოთ აი ამ იღებებს ებდაუქება, რადგანაც საკუთარ ფეხებზე დადგომა არ შეუძლიან, დამოუკიდებელი აზროვნება არ ეშედიან.. როგორც მბატვართა უპრაველსობის, იმასაც არ ეტყობა თავისებურობის თავის თავს ვერ ენდობა, თუ უკან მიმდევს ბრბოს არ ხედავს..

იოშა. ოხ, ნეტავი ეს სიტყვები რამდენიე წლით ადრე გამეგონა, გამეგო მაშინ როდესაც თითქმის დავემონე და დავემორჩილე მეგობრების აზრს. ოხ, ნეტავი ვისმეს ეთქვა ეს სიტყვები ჩემთვის რამდენიმე წლის წინეთ, როდესაც დამარცხებული ვეგდე და ჩემ თავს უსაყვედურებდა-კარგ სახლში მარა ვცხოვრობ, ბევრს რაა ეკამ და ვსემ მე-თქი.. როდესაც მუშის შეხვედრის დროს დაკრთომით გადაუხვევდი გზას და გულის ფანქრალით გაუვლიდი ხოლმე იმ შენობებს სლაც ისინი მუშაობდენ, მაშინ ჩემ ცოლსაც ძალიან ეტანჯავდი. მინდოდა ყველაფერი გამეყიდა, სხვებზე გამეცო, და იმათსავით ღარიბულად მეცხოვრა.. გარშემუნებ, ბევრჯერ იქმდის ზიესულივარ, რომ მიჭუგელის ტბაში თავის დარჩობაც განმზიზზავს... მაგრამ ეხლა (შღაპას იდებს) მაგრამ ეხლა იმ სულელსა და გადარეულ ბრალუნს უნდა ჩავგონო.. უნდა დავარწმუნო..

ფრ. ანნ. გაკვირვებოთ და თანაც დამელოთ (სუფრებს იმაქნე).

იოშა. თქვენ როგორ ჰფიქრობთ?..

ფრ. ანნა. რაც გინდათ ჰქმენით...

თქვენ... დიდი ბავშვი ხართ... თქვენ..

იოშა. ფრეილი ანნა!

ფრ. ანნა. ექიმო, თქვენი გული—ტერიი თქვენი.

იოშა. იცით მე დარწმუნებული ვარ რომ ის ესხა ცუდ გუნებაზეა, აქეთ იქით-აწყდება და ამტომ არ შემიძლიან დაემვიდღე..

ფრ. ანნა. განა კარგია რო კაცი ამნირად დამოკიდებულიყოს?..

იოშა. (გაღჭრით) არა, კარგი არ არის. მე ვიცი, რომ ის აქ აღარ მოვა. არასოდეს პირველად არ მოსულა ჩემთან... მაგრამ სულ ერთია. თქვენ მართალი ხართ! მე იმის საძებნელად არ წავალ, ამ ხელათ მიწაც არ წავალ.. მართლა, სასიერნოთ არ მოვიდვიართ

ფრ. ანნა. მაგრამ რო გინდათ თქვენი თხზულების მეგორე თავი წაგეკითხათ ჩემთვის?

იოშა. მოდი ხელთნაწერი თან წავიღოთ?

ფრ. ანნა. ჰო და რა? ეგ კარგი მოიგონეთ! მაშ მე წავალ და ტანთ ჩაიცივამ. (გაღას)

იოშა. (მაღის წიგნების შტაფთან, იდებს სულ ნაწერს და დაკვირვებით კითხულობს. ფრანგ ფოკარტა შემადის კარტა კარტადან, ხელში რაი მავარაყუბული წიგნი უქირავს).

ფრ. ფოკერ. აი ჰხადავ, ეხლა მე წავიღებ ერთერთ თქვენ სავარძელს, გაიკეთებ სათვალეებს და შევუდგები დილის ლოცვას შუშაბანდში რო დავუღებ ხომ არ შემეცია?

იოშან. რასაკვირველია, არა! (თავს შაღას იდებს) ეგ რა წიგნები მოგაქვს?

ფრ. ფოკ. სიტყვები სიყვარულისა. შენ ხომ იცი.. ჩემი საყვარელი მწერალი ლიფატერია. აი ეს კიდევ გერავია, ზნის ფოთოლა" დიხ, ეს იყო ნამდვილი კაცი! მეცნიერებს იმისაგან ბევრი მოხვედრიათ სამართალიანდ. (ქვევს იმაქნეს და გულზე იკრავს აჯესიანად) აბა მოხუცო, ისევ დაფიქრიანდი? (გოტა დაინფით) ახლგაზღა მამა ხარ, არა?

იოშან. (დაფანტულად, თავს ახებებს სულ ნაწერებს კითხვას) როდელი? *

*) შევიცარიელი მწერალი და მქადაგებელი (174—1801)

ფრ. ფოკ. ახალ მდგომარეობაში, როგორც მამა, თავს როგორ გრძნობ შენტი?
იოანა. ეს დელი ჩვეულებრივად. ვერავითარი განსხვავებას ვერ ვგრძნობ.

ფრ. ფოკ. ამა ისევ მოჰკვიცი პირველათ კი ცას ეწიე სიხარულითა და!.. რითივე ხომ უკმაყოფილო არ ხარ?

იოანა. (დაბნეულად). არა, სრულიად კმაყოფილი ვარ, დელი.

ფრ. ფოკ. მომხედე! შენ ეხლა მუდამ ახალი სერთუკა გაცვია. ანას უტყვევლია არ ეწყინება... ურიგო არ იქნება სოფელში ძველი ტანისამოსი ჩაიცვა...
იოანა. დელი, მე ხომ კმაწვლილ აღარ ვარ!

ფრ. ფოკ. ეგვე! შენ ეხლავე სჯავრობ. (მკრთალ ჩაიკრავს გულში და ტკბილათ ეუბნება) შვილო, იყავ კეთილმისახური.. მოიქციე მოხუცი დედის სასიამოვნოთ! გადარეული ჰეკელი და სულელი დარგინი გაგაუბელურებენ და სიყვარულს არაფერს შეგყარინ! მომხედე! თუ ჩემი სიყვარული გაქვს!..

იოანა. (მადლა იყურება) ოხ, კეთილო აღამიანებო! თქვენზედ არის ნათქვამი: უფალო, აპატიე... რამეთუ არ იციან რასა ეკმიან... ნუ თუ გგონიათ, რომ ასე აღვილია... კეთილი მისახურება?...
ფრ. ფოკ. (გასვლას ამარბს) ამა ერთი სცადე. შენ დარწმუნდები, რომ ძალიან აღვილია.. მხოლოდ სცადე.. ჰანს, ცოტაოდნად შინც! (გადის შუშაბანდაში და იწუებს, კითხვას. ფრ. კეტე შეიშინდას. ქვლიში უკრავს წერად)

ფრ. ფოკ. (კითხვლამას, მერე შეხვდავს) ჰანეს, აი ბანკირიდან წერილია.
იოანა. კეტე, ეხლა თავი დამანებე, ღმერთმანი გუნებაზე არა ვარ!
ფრ. კეტე. ის კაცი კითხულობს გაყილით ჩაღალდებს თუ არა?
იოანა. ღვთის გულისათვის თავი დამანებე!

ფრ. კეტე. ჰანეს, დრო გაუღის. დავვიანება აღარ შეიძლება.
იოანა. (აბიღობილგუბი) რას ჩამაცივდი! იქნება ჩემ საქმესაც დრო გაუღის!
ფრ. კეტე. რა ექნას; მაშ ასე დარჩეს?... მხოლოდ იცოდე, რომ ხვალ ჩვენ ფული აღარ გვექნება.
იოანა. (უფრო აბიღობილგუბი) არა, კეტე მართლა რომ ჩვენ ერთმანეთის შესაფერ-

ისნი არა ვართ! თქვენ ყოველთვის იმეორებთ რატო ჩვენ სახლში სიმშვიდე და მშვედროება არ არისო!.. განა შესაძლებელია როგორც კი პატარა დავმზადდები, მოვისვენებ და დავარხენდები სწორეთ მაშინ გამომეცხადები ხოლმე და ყველაფერს გადამიქოთებ, უკაცრავლი პასუხია, და მეტრუსავით ამიკრავ ხოლმე სადავსო..

ფრ. კეტე. სრულებითაც არა. ფოსტალიონი მოვიდა, და მე კიდევ შენ შესატყობინებელი შემოვდი, მეტი არაფერი მომხდარა.
იოანა. კიდევაც ეგ არის, კიდევაც ეგ ამტიციებს თქვენს სრულიად გაუფერობას, შეუსწნელობას.. ასე გონია ხარაზი ვიყო..

ფოსტალიონი მოვიდა და შენ კიდევ ჩემთან შემოხვედი შესატყობინებლად, სხვა არაფერი, ძალიან აღვილი სათქმელია! მაგრამ ის კი აზრად არ მოგდის თავში, რომ ასეთი ქცევით მირღვევ დიდი შრომა-მეცადინეობით გადაბმულ აზრების ჯაჭვს.
ფრ. კეტე. ეგ კარგი, მაგრამ ცხოვრების პრაქტიკული მხარის სრულიად დაიწყება ხომ არ შეიძლება?

იოანა. ერთხელ კიდევ გიმეორებ, რომ ჩემ შრომას პირველი აღვილი უჭირავს! დიხ, პირველი, მეორე, მესამეც... შემდეგ კი შეიძლება პრაქტიკული კითხვების ჯგირიც დადგეს.. ეცადე, კეტე, რომ ეს დაიხსოვო ერთხელ და სპულამოთ! ცოტადნათ მინც ამომიდე მხარში, უკეთესი იქნება, რომ მაგ პრაქტიკულ კითხვებს სრულებით არ მომავონებდე... მაგ კითხვების გადაწყვეტა შენ თვითვე, იცისრე ეს ყველას ემჯობინება.. მე ნუ მიშლი!

ფრ. კეტე. პასუხისგებას შე ვერ ვიკისრებ.

იოანა. აი კიდევ ეგ არის, არადროს არაფრის პასუხისგებაში არ გინდათ იყოთ! არას დროს და არაფერში დამოუკიდებელი გარდაწყვეტილების მიღება არ შეგძლიანთ! და ასეთი ქცევით თქვენ, ქალები, განა თვითონ არ აყენებთ თქვენს თავს დამოუკიდებელ მდგომარეობაში, განა თქვენ თვითონ არა სცდი ლობთ, რო მუდამ მცირეწლოვანი იყენეთ?

ფრ. კეტე. (გლიჯობს წერადი მიაჩნის) ეჰ, ჰანეს, თქვი ერთი რა ექნათ და..

ნაცნობები.

(გავრძელება. ის. თ. და ც. №26)

ყმაწვილი პოლიციელს ყურს აღარ უგდებდა. მის წარმოედგინა ის დრო, როდესაც შვილთავე ჯანღონით სავსე ამხანაგებმა ერთად გადაიღეს ეს სურათი. ვახსენდა სამი თავის საყვარელი დახოცილ ამხანაგების ბედი დას ცრემლი მოერია.

—სად არიან, სად?

დაეინებოთ ეკითხებოდა პოლიციელი.

—უზრდელი ყოფილხარ, უზდელი.

—არ იც ხედილობა მოითხოვს მოზაასეს კითხვა-პასუხი გასცე.

სიჩუმე.

—ვათხროთ აქედან ეს უზრდელი, ვირი ეს მხეცი, ესა. ამისთანას ზრდილობანი და დინჯი ლაპარაკი რათ უნდა ამას მიართო მუშტები და მათარხები მოიყვანს კეჭაზე. წყნარად რომ გელაპარაკები, ხომ არა გონია ეს სისულტით მოგედის შე...

ოთხიოდ პოლიციელმა ყმაწვილ კაცს სხვა ოთახში უყრეს თავი, აქ დაუწყეს მას უწყალოდ ცემა ხელითა თუ წიხლებით და თან უშვერათ ლანძღავდნენ.

—ეყოფა—სთქვა სქელმა კოსტამ როცა ყმაწვილ კაცს პირიდან სისხლი ამოუყვია,

—სულ ერთია,—მიუთო ვამხადარმა კუნამა,—აბა რაღა მეჩქარება, დახვერის დრო გათავდა. ახლა აბა საღადა უნდა წავიდე?

—მე რომ კიდევ წიხლი ჩავარტყა, მოკვდება. ძალიან მიძიმე ფეხი მაქვს.

—სულ ერთია ეს მ... გინდ მკვდარი, გინდ ცოცხალი. არც წყლიან იღებდა ხმას, არც ეხლა იღებს. რომ მოკვდეს მაშინაც ესე გაჩუქებული არ იქნება.

II

გავიდა დიდი ხანი. რუსეთში რევოლიუციამ გაიმარჯვა, რევოლიუციონერები მოექცნენ სათავეში და ყველგან მართვა-გამგებლობა ხელთ იგდეს, აი ერთი ამისთანა მშართელთაგანი დღეს მთხოვნილებს იღებენ.

ოთახი, რომელშიც ისინი მუშაობენ, კარგა მოზრდილია. კედლებზე უალაგოალაგას ლურსმები მოსჩანს, უტკვეულია აქ ეკიდა ძველი რუკების რომელიმე წარმომადგენელთა სურათები, მაგრამ რევოლიუციონერებმა იგინი გაუძახეს. ოთახის მოწყობილობა: მაგიდა, შეფი, სავარძელი, ღვამებრი, მაგიდის მოსარ-

თავი მეტად ძვირფასი, იშვიათ გემოვნებაზე ნაკეთები, რაიცა მომწობს იმას, რომ ეს ოთახი წინდ ღიღიმე ბოზოლას ეკუთნოდა.

მაგიდას გარს შემოსხლომან კომისარი და მისი ორი თანამეგე. ერთი თანამეგეთან განი თხოვნებს არაჩუქ, მეორე-ეი წინ ყველილ რვეულში რაღებესაც იწერს. ყველა სამთავანი მთხოვნილებს უსმენენ და დრო გამოშვებით შეკითხვებს აძლევენ.

—ამხანაგებო,—დაიწყო ერთმა თანამეგემ: გასარჩევია თხოვნა, რომელხელც ხელი უწერია ას ოცდა ათ კაცს. მთხოვნილები ძველი მთავარობის მსახურნი პოლიციელნი არიან. წინააღმდეგი ხომ არ გექნებათ, რომ შემოვიდნენ? არა?—კარის კაცო, პოლიციელნი შემოვიდნენ.

შემოსული პოლიციელნი სხვა და სხვა თანამდებობისნი იყვნენ. მათში ერთნიც ბოქალულები, მათი თანამეგენი, უბნის ზედამხედველნი და დაბალი პოლიციელნი. ყველამ მოწინააღმდეგე საღამი მისცეს ახალ მთავრობის წარმომადგენელთ.

—თხოვნაზე ხედა უწერია ას ოც და ათ კაცს. აქ კი რომოცი კაციც ვერ იქნებით. სად არიან დანარჩენნი?

შეკითხა კომისარი შემოსულებს.

ზოგნი ციხეში სხედან. მილიციონერებმა დაიპირეს, ზოგნი გარეთ ვერ გამოდიან—ეშინიანთ დაპატიმრებისა. უბასუხა აკანკალბულის ხმით ერთმა მოხუცებულმა პოლიციელმა. კომისარის გაუღიმა და ამხანაგებს გადახედა. ამხანაგებმაც დიმილით შემოხედეს.

—იქნებ ბრძანოთ, რომ ციხიდან მოიყვანო დაპატიმრებული ჩვენი ამხანაგები. ისევ აკანკალბულის ხმით გაუბედავთ შენისა იმავე მოხუცებულმა პოლიციელნი.

—არა, საქრო არ არის. თქვენც კარგა გვტყვივთ რაც გინდათ. მითხაროთ რასა თხოულობთ?

—ვთხოულობთ, ბანო კომისარო, რომ ყურადღება მოგვაქციოთ, ვითხოვთ მოწყალებას.

გაისმა აქეთ-იქიდან.

—მაინც რა გინდათ?

კვალად შეეკითხა კომისარი.

—თქვენი დღევრძელობა, თქვენი სეკოცხო, თქვენგან მოწყალება... იმოურებდნენ პოლიციელნი.

—ამხანაგო,—მიმართა თანამეგეს კომისარი,—წაითხებ ამთა თხოვნა, თორემ ესე ლაპარაკით ბეერ დროს დაგვაკარგვინებს.

—ჩვენ ქვემარჯ ამას ხელას მომწინა



დაწერა კითხვა მარტინით შედარებით, — უფროდნი მისხურნი ძველადს მთაწარმას, უმარხილავისის თხოვნით მოგმართავენ თქვენ, ბ. კომისარო, და თუაღრმეძიანნი გემუდარებთ, რათა მოწაულება მოიღოთ ჩვენზედ ვინაიდგან ჩვენ არა ვართ ის ბინა, რაოვლინდ სუფილი და გუფილი ძველი მთაწარმის უფროსილი უმები და მომხრეები იუვენ. ვადარება, რომ უოგაფთვის გეძუ-
 ღდა ძველი მთაწარმა და მისი წესები და ვხატრბოდით ამ ბრწინებულ დღეს, იღეს დაინერგოდა ნიკოლოზის განისხიანებული ტახტი და ბოლო მოდებოდა სწუხადი ხალხის წყალებას ჩვენ უმისხურბოდით მხოლოდ და მარტო გაქირებას გამო, ვინაიდგან, როგორც მრალეტარება, იძულებულია ვიუფილი გვეოდნა ჩვენი შრომა ჩვენად სარჩენად. როგორც შევიძლიანთ დაწმუნებულ ჩვენი წარსულიდგან, ჩვენ უოგაფთის, რაცა კი შეგვეძლო, ვიუფილი ხალხის მომხრენი და მოსარჩულნი, რადგანდ ვთვლით ჩვენ თავს მის შეილება და ეხლად გვიხდა ხალხსვე ვუმისხურათ, ამიტომ უოგაფდ უმარხილავსად გთხოვთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება, რათა არ ვგახატობებოდნენ როგორც ვინა და მისაშვეთ და დაგვარებოთ უგაფა ჩვენ ჩვენს ძველ თანამდებობაზე...“
 აქ შეჩერდა კომისარის თანაშემწე და მიმართა ამხანაგებს:

— ამის შემდეგ გვარება მთხოვნელებისა, გინდთ ესეც წაიკითხოთ?

— გვარები საჭირო არ არის.

უთხრა კომისარმა თავის თანაშემწეს და პოლიციელებს მიმართა:

— თქვენ, პოლიციელნო, ფიქრადაც არ გაიტაროთ ძველ თანამდებობაზე დაბრუნება. განახლებულ რუსეთში მოწესრიგელ თქვენ საჭირონი აღარა ხართ, ვერც გამოადგებით. ვინც ციხეშია ციხეშივე მოუბთებთ გამოძიების დასარულამდე ყოფნა. მით და შემდგომი დაპატიმრებულთაც, თუ არაფერი დაუმტკიცდით დაუყოვნებლივ გათავისუფლებით. სხვა რაიმე სამსახურში შესვლისთვის დაგვირდებით მოწმობა, რომელსაც ჩვენგან მიიღებთ, უკეთუ თავდებად დაულდგებით რომელიმე სარეგოლოუციო პარტია.

გათავა კომისარმა და საათს შეხედა. მის გვერდით მჯდომმა მისმა თანაშემწემ კი კალამი ძირს დასდო და გამოეღაპარაკა პოლიციელთ.

— ერთი მითხარით ვთავაყვა, რომ ხვალ აღდგეს თქვენი ნიკოლოზი მაშინ რალას იხამით. ეს თხოვნა რომ ხელში ჩაუვარდეს მის ერთგულ ბოზოლა მოხელეს, ხომ ისიც აღარ

მიგიღებთ სამსახურში, განა შეიძლება ეგრე-
 ორგულლობა იმ მთავრობისადმი, რომელსაც თქვენ შეფიცოთ ემსახურებოდით და რომლიც თქვენ გენდობოდით?!

კომისარი ამ დროს ვილსაც თვალს თვალში უყრიდა და გაათავა თუ არა მისმა თანაშემწემ ლაპარაკი, მან თავისი ყურადღების სავანს მიმართა:

— თქვენ მე საღაც უნდა მენახოთ. მითხარით თქვენი გვარი.

— ვ — ავი, ბატონო.

სიტყვა ეს პოლიციელმა და სახეზე ყველგამ ფერმა გადაჭკრა.

— გვართ გონს ვერ მოვიდვარ. მითხარით საღ უნდა მენახოთ... ატატატა, საჭირო არ არის. მე თვით ყველაფერი მოვიგონე. თქვენ აქ დარჩით — კარისკაცო, გაიყვანე დანარჩენები.

კომისარმა ასეთი თავის მოულოდნელი განკარგულებით მეტად დაინტერესა ამხანაგები.

პოლიციელნი, ვარდა ერთისა ყველანი გავიდნენ. კომისარმა მიმართა პოლიციელს:

— წინ მოდით. ნუ თუ ვერ მომიგონეთ საღ და როდის გვინახავს ერთმანეთი ვერა ქონიით კვი მესხიერება.

— ვერაფერი მომიგონია, ბატონო კომისარო, ღმერთს ერწმუნეთ.

ხმის კანკალით წარმოსთქვა პოლიციელმა და უფრო გუფითრდა. მგვრამ მინიკ ძალა დაატანა თავს და კომისარს დააშტერდა უკებ თოფნაკრავივით უკან დაიხია და თავი ჩაღუნა.

— მა, გატყობთ მოგავონდით. ძალიან კარგი. გახსოვთ, მოგავონდით. რამდენიმე წელია მას უკან, მე თქვენ მოიკითხეთ, თუ საღ არიან ჩემი ამხანაგები და რას აკეთებენ იი იმის დაგვაინებულნი პასუხიც.

ორი მთვანი ჩემთან ერთად ახალ მთავრობას სათავეში უდგანან და თქვენ წინ ჩემს მარჯვნივ და მარცხნივ სხედან გთხოვთ იცნობდეთ. და თუ ყვალად გეინტერესებთ შეგკითხოთ საღ იყვენ და რას აკეთებდნენ მაშინ, როცა მე დამატყვევებთ და ზნეობრივად და ფიზიკურად მწაშამთ.



წერო და დაეწყო თავის მართლებას წერდომ...
 ხოლო მის კ ბატონო რომ მიზნის მიხედვით
 ვით კაცს შეუძლიან იხილონ არა წმინდა სასუ-
 ლება თუ მიზანი წმინდა და სარკებლად-
 ბით აღმატება იმ უწმინდურს სასულეებს. კი-
 დეუ ბევრს ვიღანარაკებდით მაგრამ .

ორილიონ.

მოვიკითხე სიმონ წერეთელს, კალენდრის
 საქმე სწორედ განკუთვნილი (პროვიდენია) საქმეა!
 ოცნება ხუთი უკვლამ გავათვე შენი წერილი.
 წერტილი მიამე არნილამ დაუსხსს მე სხვა წერი-
 ლებს უბრუნებო. მოვიკითხე არნილა გიორგი
 და... თუ ვინმე დამაზი ქალი შეგხედეს ისე
 შინაურულად.

სხვა და სხვა ამბები

(გაზეთებიდან).

— **შინეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხა-**
 და. მკათათვის რ ფინეთის სეიმზე, სენატზე
 და მთავრობის სხვა შენობებზე ფინური ეროვ-
 ნული დროშები ააფრიალეს.

— **უკრაინელიმა ჯარებმა** კიევში მი-
 ლიცი გადარევენ და თვისი გადარაჟები დააყენეს.
 მილიციის უფროსი და ქალაქის კომინდანტი და-
 ბრუნდეს. საღამოთი წესიერება აღადგინეს.

— **საქართველოს კათალიკოსს**, სინოდის
 გადამწვეტილებისამებრ, სასწავლებლად მიენ-
 იქა მიხეთა, ხოლო კავკასიის მიტროპოლიტს
 (დღემდე საქართველოს ეპისკოპოსად წოდებულ)
 თბილისი.

— **ბაკი ჩხენკელს**, შაბათს კოფრადან თბი-
 ლისს დაბრუნების დროს, ეზაზე, საღამოს
 10 ს. თავს დაეცა სამი შეიარაღებული კაბი-
 დებუტატი კატარგის, ხოლო მისი თანამგზავ-
 რი, ნიკოც ვეჭელი მაჭავარიანი, წინააღმდეგო-
 ბის გაწველათვის, თავში დასჭრეს. დასჭრეს
 ერთი მილიციონერიც, რომელიც ამხანაგებით
 დებუტატს მიუშვედა. ბოროტ განმზახველნი
 მიამილენენ.

— **მინისტრო** თავმჯდომარე ლეონი კა-
 ლა. მისი ადგილი დაიკავა კურნისკამი.

— **მინივან საქმეთა** მინისტრად კაკი წე-
 რეთელი მიიწვეეს. იგივე დარჩება ფესტა ტე-
 ლეგნაფის მინისტრად.

— **გერმანიელებმა** გენ. ბონინილოვის ფრონ-
 ტი გაარღვიეს.

— **ქართველ მხედართა** გუშინის თაონო-
 ბით შემდეგან სვარჯიშო სასოკალეო, ამირანი.
 დამუფრებელი კრება შესდგა მკათათვის 9.

— **ცნობილი ბურცევი** ატეხლებს, რუსეთის
 დისამობად იღვწოდენ ბოლშევიკები ღებნი,
 მ. გორკი, ტროცკი და სხ. ზოგერთ მათგანს
 ბტუსადებენ.

— **ჩრდილოეთის ფრონტის ერთერთ კორ-**
 პუსში მყოფ ქართველ სამხედრო პირთაგან
 თბილისში ჩამოვიდნენ დელეგატები: ექიმი მი-
 ხეილ იშხნელი და ჯარის კაცნი იულიანე თა-
 ფურია და ვარლამ ხარებაშვილი. მათ დაყვალე-
 ბული აქვს:

1. მოლაპარაკება გამართონ ქართველ სამ-
 ხედრო გუშინის გამკაცობისათნ სრულიად საქა-
 რთველს ქართველ ჯარის კაცთა დელეგატე-
 ბის უნილობის მოწვევის შესახებ ქ. თბილისში
 ირა უგვიანეს 1 აგვისტოს.

2. ქართ. სამხ. კავშ. გამკაცობს წარუდგო-
 ნოს ჩრდილოეთის ფრონტის მნ კორპუსის ქა-
 რთველთა შემუშავებულ სერთო ყრილობის
 დღის წესრიგი განსახილველად.

3. დელეგატებს ევლებათ ქართ. სამხ. ვა-
 გშირში ან სხვაგან სადმე ოფიციალ მსჯელობა-
 კამათში დაიცვან საქართველოს ეროვნულტერი-
 ტორიული ერთეუ ვეტონიანი.

4. ამ დელეგატებთ განსახორციელებლად მუ-
 შაობაში დელეგატებს ეძლევათ ურთი ერთ თან-
 ხმობით მოქმედების დამოუკიდებლათ და შეუძ-
 გლიანთ პირადი ან წერილობით მოლაპარაკე-
 ბამართონ ქართველთა სახედრო გუშინებთან და
 პოლიტიკურ პარტიებთან საქართველოს უკვლა
 ქალაქებში სადაც საქირო იქნება.



წიგლი რადამის მიხარტ „ურნალ თეატრი და ცხოვრების“ 28 №-ში მოთავსებული არ. ფანტულიას ცნობა. თითქმის ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭოს ნება დაერთოს აბაშიძის სცენის მოყვარულთა ჯგუფისათვის კავშირის სახელით წარმოდგენები მართონ აბაშის რაიონში. ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ კავშირის საბჭოს ნება არ მიუცია წარმოდგენების მართვის ანუ აბაშისა და არც სხვა ამჟამად სცენის მოყვარულთა ჯგუფისათვის და აბაშის ჯგუფის მიერ მითვისება კავშირის ფირმის უკანონოდ და შეუწყნარებელია.

ასეთი მოვლენა რომ აღარ განმეორდეს, კავშირის ს.ბ. ომ სათანადო ზომებს მიიღებთ.

პატივისცემით კავშირის თავმჯდომარე: **კონსტ. ანდრონიკაშვილი.**

„ურნალ თეატრი და ცხოვრება“

ფანდიის სასარგებლოდ

ისაკ მახარბეგის ძის მახარაძისაგან მივიღეთ ხუთი მან.

რედაქტორ-გამომცემ. იოსებ იმედაშვილი.

ხელოვანი მხატვარი დ. კიკნაველიძე

აღიღებთ ფოტოგრაფიულ სურათებს, ასრულებთ ყოველ გვარ საქმეს (საეკლესიოს და სხ.) შენაკეთის ამზადებს საუცხოოდ, ფაქიზად და დროზე. თბილისში დროებითი მისამართი „ურნალ თეატრი და ცხოვრების“ რედაქციის (ბაზრის ქ. № 20), ბაქოში პოროხოვის ქ. № 56. შეკვეთას მიიღებს ფოსტითაც.



„ერთად ერთ რესტორან კაჟუ პარიზს“ საზაფხულოდ აქვს ბაღი, სადაც სუფთა ჰაერზე შეიძლება საუზმის, სადილის და ვახშმის მიერთმევა, არის ცალკე ფანჯატურები და კაზინეტები. სანოვავე საუკეთესო ღირსებისაა პატივისცემით სილ. გიგინეიძე.

ახალიკლუბი 1 კვირის გრძელ
ორშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ. 50
ესამშაბათი—სოჯახო საღამო
ოთხშაბ.—სინემატოგრაფი. სიმებ, ორკ.
ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.
პარასკე.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ. 30 კ-ღ
შაბ—საღ.
კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ.

სარეჟისის სახელმძღვანელო კლუბი
ორშაბათი—სინემატოგრაფი. სიმებ, ორკ.
ესამშაბათი—სინემატოგრაფი: სიმებ, ორკეს.
ოთხშაბათი—ქართული წარმოდგენა;
ხუთშაბათი—ოპერეტა რუსულ ენაზე.
პარასკევი—სოჯახო საღამო
შაბათი—რუსული წარმოდგენა
კვირა—სინემოანი ორკესტრი
შესასვლელი ფასი: ქალბ. და სრულდენ ტები - 25 კ. მამაკაცი 50 კ.
დახაწყისი: წარმოდგენა—კონცერტის—სინოგრაფ—საღ. 8 ნახ. სტეა

„თეატრი და ცხოვრება“

პრემიით წლიურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სორაპანის“ სტამბის კანტორაში მალათოვის კუნძ. № 1, ფოსტით: Тифлис, ред. „Театри да Цховреба“—
 Иос. Инедашвили.

